საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება

№ 2-19 „24" აპრილი 2014 ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის, „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 იანვრის N1627 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N2);

გ) მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა (დანართი N3).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სურსათის

უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიშის წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის 2013 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 11 თებერვლის N2-45 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით გალეგაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებული სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის სამოქმედო გეგმას.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის და სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, კონკურენტუნარიანი გარემოს ამაღლებას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

3. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია რისკის ანალიზზე დაფუძნებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

მუხლი 2. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

ა) ბიზნესოპერატორის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ბიზნესოპერატორის გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების განხორციელება;

გ) საცალო ვაჭრობის დონეზე ბიზნესოპერატორის მონიტორინგის განხორციელება ნიმუშის აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით;

დ) სურსათის მწარმოებელ საწარმოებში მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრა და შესაბამისად მავნე სურსათის ბაზარზე განთავსების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

მუხლი 3. პროგრამის საფუძვლები

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სურსათის ბიზნესოპერატორებზე სურსათის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე, ასევე პირველად წარმოებაში.

2. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №2-297 ბრძანების ფარგლებში.

3. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;

ბ) „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება;

გ) „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება;

დ) „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №282 დადგენილება და სხვა.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") მიერ.

2. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები, რომლებსაც შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით უფლებამოსილებას ანიჭებს სააგენტოს უფროსი.

3 სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე, სამართალდამრღვევს, აღნიშნული კოდექსის 64 - 74[1] მუხლების შესაბამისად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

მუხლი 5. ბიზნესოპერატორების რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. გეგმური ინსპექტირების განხორციელებისათვის, სააგენტოს მიერ, ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრის მიზნით, შემუშავებული იქნა რისკის შეფასების 4 კრიტერიუმი (ცხრილი N1-ის) შესაბამისად.

2. კრიტერიუმების შემუშავებას საფუძვლად დაედო „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №2-143 ბრძანება, კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის სამუშაო პრინციპები", (CAC/GLL 62-2007 "Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Goverments"), კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი„ მიკრობიოლოგიური რისკების მართვის (MRM) პრინციპები", (CAC/GLL63-2007 – "Principles and Guidelines for The Conduct of Microbiological Risk Managment), „სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების კლასიფიკაცია რისკის ჯგუფებში" (KT-2-1-D3 - "Classification of Food Handling Businesses Into Risk Groups" - ლიტვის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის სამუშაო ინსტრუქცია).

3. რისკის შეფასების შედეგად ბიზნესოპერატორს თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად მიენიჭება შესაბამისი ქულა. მინიჭებული ქულების დაჯამებით მიღებული შედეგი იქნება განმსაზღვრელი ბიზნესოპერატორის შემოწმების პრიორიტეტისა.

4. კრიტერიუმების ქულების დაჯამებით მიღებული მაქსიმალური ქულა შეადგენს 100-ს, რაც საწარმოს მაქსიმალური რისკის მაჩვენებელია. მაღალი ქულის მქონე ბიზნესოპერატორი მიიჩნევა მაღალ რისკის საწარმოდ და შესაბამისად, გეგმური ინსპექტირება განხორციელდება მაღალი ქულიდან დაბალი ქულის მქონე საწარმოების პრიორიტეტულობით.

5. კონკრეტული ბიზნესოპერატორისთვის ერთ კრიტერიუმში ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტის ქულათა შეჯამება არ ხდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, საწარმოს მიენიჭება მაქსიმალური ქულა.

მუხლი 6. 2014 წელს განსახორციელებელი გეგმიური ინსპექტირების რაოდენობა

1. 2014 წელს ბიზნესოპერატორებზე განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა დამოკიდებულია ადამიანური და ფინანსური რესურსების ოდენობაზე, რაც ასახულია შემდეგ ფორმულაში:

N= I * 40

N - წლის განმავლობაში განხორციელებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

I - ინსპექტორების რაოდენობა;

რიცხვი 40 - წლის განმავლობაში ერთი ინსპექტორის მიერ განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობა;

2. ბიზნესოპერატორის გეგმური ინსპექტირება განხორციელდება შემუშავებული კრიტერიუმების ქულების დაჯამებით მიღებული შედეგების მიხედვით, პრიორიტეტების გათვალისწინებით:

ა) მაღალი - 70-დან 100 ქულა;

ბ) საშუალო - 40-დან 65 ქულა ;

გ) დაბალი - 35 ქულამდე.

2014 წელს განხორციელებული გეგმური ინსპექტირებებიდან 60% განხორციელდება მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, 30% საშუალო რისკის სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, 10% დაბალი რისკის სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან.

3. წინა წლებში განხორციელებული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, 2014 წელს, გეგმური ინსპექტირების განხორციელების პრიორიტეტი მიენიჭება:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლისას აღმოჩენილი დარღვევების მქონე ბიზნესოპერატორებს;

ბ) ცხოველთა სასაკლაოებს;

გ) ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს;

დ) რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს;

ე) თევზის და თევზის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს;

ვ) ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებს;

ზ) საზოგადოებრივი კვების, მათ შორის სწრაფი კვების ბიზნესოპერატორებს;

თ) სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა დაწესებულებების კვების ბლოკებს, მ.შ. ბავშვთა გასართობ ცენტრებს;

ი) თაფლის პირველად წარმოებას;

კ) თევზის პირველად წარმოებას (სატბორე მეურნეობები და სხვა);

ლ) ნედლი რძის შემგროვებელ ბიზნესოპერატორებს;

მ) სხვა ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელ საწარმოებს;

ნ) სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტებს (სათავე ნაგებობები);

ო) საშუალო და დაბალი რისკის მქონე ბიზნესოპერატორებს.

მუხლი 7. არაგეგმიური ინსპექცია

არაგეგმიური ინსპექტირება განხორციელდება „სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 30-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლის 8. ნიმუშის აღება და დოკუმენტური შემოწმება გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებისას

გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებისას სურსათის ნიმუშები შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნება სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 44-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით, ხოლო დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება ამავე კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9 . მონიტორინგი

1. სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება საცალო ვაჭრობის დონეზე სურსათის ნიმუშების შესყიდვით აკრედიტებულ ლაბორატორიაში კვლევის მიზნით და დოკუმენტური შემოწმების გზით.

2. მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტორები.

3. 2012-2013 წლებში განხორციელებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მაღალია დარღვევები გამოკვლეული სასმელი წყლის სინჯებში, ცხოველური წარმოშობის სურსათსა და მზა კერძებსა და კულინარულ ნაწარმში. ამასთან, საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული საკვებით გამოწვეული მოწამვლების შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო სწორედ სასმელი წყლის, მზა კერძებისა და ცხოველური წარმოშობის სურსათის მიღებასთან. ამდენად, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2014 წელს სათანადო წესით შესყიდული და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 3 690 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში (ცხრილი №2). ამასთან, საქართველოში პირველად განხორციელდება კვლევები: ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტებში ***Enterobacter sakazakii*** -ს ლაბორატორიული კვლევა.

მუხლი 10. დოკუმენტური შემოწმება

მონიტორინგის დროს დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

უფლებამოსილიპირი ვალდებულია დაიცვას მოთხოვნები ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. მოსალოდნელი შედეგები

1. სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებული სურსათის მწარმოებელი საწარმოებში, მათი საქმიანობის მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2. ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებულ სურსათის მწარმოებელ საწარმოებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.

3. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოების და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

4. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს: მოსახლეობის ჯანმრთელობის და სიცოცხლისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

მუხლი 13. ანგარიშგება

საქართველოს მთავრობასა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს, სურსათის/ცხოველის საკვების, უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ემუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარედგინება სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს:

ა) განხორციელებული ინსპექტირების რაოდენობასა და ტიპს;

ბ) გამოვლენილი დარღვევების რაოდენობასა და ტიპს;

გ) აღმოჩენილი დარღვევების საპასუხოდ გატარებულ ზომებს.

ცხრილი №1

სურსათის მწარმოებელი საწარმოს რისკის შეფასების კრიტერიუმები

№	რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმი	ქულა
1.	გადამუშავებული სურსათი:	
	ცხოველური წარმოშობის სურსათი:	
	ხორცი და ხორცის პროდუქტები	35
	რძე და რძის პროდუქტები	25
	თევზი და თევზის პროდუქტები	25
	კვერცხი	15
	ცხოველური წარმოშობის სხვა სურსათი	25
	მცენარეული წარმოშობის სურსათი:	
	ხილი, ბოსტნეული	15
	უალკოჰოლო სასმელები, წვენები	25
	მარცვლეული, ფქვილი და ფქვილოვანი პროდუქცია	15
	კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი	25
	შაქარი, მარილი	15
	ჩაი, ყავა	15
	საკვებდანამატები, სურსათის გამამდიდრებლები, სანელებლები,	25

	საკაზმები	
	ალკოჰოლური სასმელები	15
	სასმელი წყალი	25
	მცენარეული წარმოშობის სხვა სურსათი (ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი და სხვ.)	15
	ნახევარფაბრიკატები	25
	საღეჭი რეზინი	15
	მზა კერძები	25
	კონსერვი	35
	ბავშვთა კვების პროდუქტები	35
	ცხოველთა საკვები	25
	სხვა დასახელების სურსათი	15
2.	საქმიანობის ტიპი	
	წარმოება, გადამუშავება, ცხოველთა დაკვლა	10
	პირველადი პროდუქტების წარმოება	5
	შეფუთვა	5
	რძის შეგროვება	5
	საბითუმო ვაჭრობა, დასაწყობება, დისტრიბუცია	5
	საცალო ვაჭრობა მაღაზიებში	5
	საცალო ვაჭრობა ბაზრებში და მოძრავ ობიექტებში	5
	საზოგადოებრივი კვება:	
	კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სასადილო და ა.შ.	5
	ბუფეტი საკოლამდელი ბავშვებისათვის	10

	ბუფეტი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის	5
3.	**წარმადობა (ბიზნესოპერატორის წინა წლის ბრუნვა ლარებში)**	
	ა) 50 000 000-ი და მეტი	25
	ბ) 5 000 000-დან 50 000 000-მდე	20
	გ) 500 000-დან 5 000 000-მდე	15
	დ) 200 000-დან 500 000-მდე	10
	ე) 0-დან 200 000-მდე	5
	ვ) არ აქვს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი (ახლად რეგისტრირებული მეწარმე)	25
4.	ბიზნესოპერატორის ისტორია:	
	ა) სურსათის უვნებლობის მაჩვენებლების დარღვევა	30
	ბ) სახელმწიფო კონტროლი არ განხორციელებულა	30
	გ) სახელმწიფო კონტროლისას დარღვევა არ აღმოჩნდა	0
	დ) 1 შეტყობინება RASFF-დან	20
	ე) 2 და მეტი შეტყობინება RASFF-დან	30
	ვ) სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმა	30
	ზ) გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობა	30
	თ) გამოვლინდა არაკრიტიკული შეუსაბამობა	20

ცხრილი №2

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი

№	ლაბორატორიული კვლევის სახეობის დასახელება ჩასატარებელი მომსახურეობის ადგილმდებარეობისა და სახეობის მიხედვით	ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა
1	აღმოსავლეთ საქართველო - ცხოველური წარმოშობის სურსათი	250
2	დასავლეთ საქართველო - ცხოველური წარმოშობის სურსათი	250
3	აღმოსავლეთ საქართველო - არაცხოველური წარმოშობის სურსათი	100
4	დასავლეთ საქართველო - არაცხოველური წარმოშობის სურსათი	100
5	აღმოსავლეთ საქართველო - სურსათში სალმონელას კვლევა	250
6	დასავლეთ საქართველო - სურსათში სალმონელას კვლევა	250
7	აღმოსავლეთ საქართველო - სურსათში Listeria monocytogenes-ის კვლევა	100
8	დასავლეთ საქართველო - სურსათში Listeria monocytogenes-ის კვლევა	100
9	აღმოსავლეთ საქართველო სასმელი წყალი (მათ შორის დაფასოებული) და უალკოჰოლო სასმელები	400
10	დასავლეთ საქართველო სასმელი წყალი (მათ შორის დაფასოებული) და უალკოჰოლო სასმელები	400
11	ალკოჰოლური სასმელები (მათ შორის ჩამოსასხმელი)	100
12	აღმოსავლეთ საქართველო მზა კერძები, ნახევარფაბრიკატები და კულინარული ნაწარმი	250
13	დასავლეთ საქართველო მზა კერძები, ნახევარფაბრიკატები და	250

	კულინარული ნაწარმი	
14	ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტები, მისი კონსერვები	100
15	მცენარეულ სურსათში პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა	100
16	სურსათში საკვებდანამატების შემცველობის კვლევა	40
17	აღმოსავლეთ საქართველო - ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	150
18	დასავლეთ საქართველო - ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	150
19	თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
20	სურსათში გმო-ს ინგრენდიენტის შემცველობის განსაზღვრა	30
	ლაბორატორიული კვლევა სულ:	3 470